

ფონდი „ლია საზოგადოება – საქართველო“

თბილისი, 2016 წლის ოქტომბერი



Kingdom of the Netherlands

პუბლიკაცია მომზადებულია პროექტის „ევროკავშირ-საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების მონიტორინგი საზოგადოებრივი ორგანიზაციების კოალიციის მიერ“ ფარგლებში. პროექტი დაფინანსებულია საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს მიერ. დოკუმენტში წარმოდგენილი მოსაზრებები შესაძლოა, არ გამოხატავდეს საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს პოზიციას.

ავტორი:

ელენე ნიჟარაძე*

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

რეცენზენტი:

კორნელი კაკაჩია

თარგმანი:

ანა გეგეჭკორი



OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ლია საზოგადოება საქართველო

წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტი მოიცავს პერიოდს 2015 წლის ოქტომბრიდან 2016 წლის ოქტომბრამდე

დოკუმენტი მომზადებულია ფონდ „ლია საზოგადოება – საქართველო“ შიდა პროექტის ფარგლებში „ევროკავშირ-საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების მონიტორინგი საზოგადოებრივი ორგანიზაციების კოალიციის მიერ“. ტექსტისა და კომენტარების ავტორების მიერ გამოხატული შეხედულებები, მოსაზრებები და განაცხადები მხოლოდ მათ ეკუთვნით და არ გამოხატავს ფონდ „ლია საზოგადოება – საქართველო“ მოსაზრებებს. შესაბამისად, ფონდი „ლია საზოგადოება – საქართველო“ მასალის შინაარსზე პასუხს არ აგებს.

* ელენე ნიჟარაძე 2012 წლიდან სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების პროექტის კოორდინატორია. ამჟამად იგი ხელმძღვანელობს ორგანიზაციის რეფორმებისა და პოლიტიკის კვლევების მიმართულებას. ის ფლობს სამართლის მაგისტრის ხარისხს შედარებით საკონსტიტუციო სამართალში ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტიდან.

სტრუქტურული რეფორმის დაგეგმვა: საუბნო საარჩევნო კომისიების შემაღბენლობასთან დაკავშირებული გამოწვევები საქართველოში

პოლიტიკის დოკუმენტი

რეზიუმე

საარჩევნო ადმინისტრაცია – არჩევნების ჩატარებაზე პასუხისმგებელი ორგანო – ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს საარჩევნო პროცესში. საქართველოში 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდში საარჩევნო ადმინისტრაციის ძირითადი კრიტიკა საუბნო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტებას შეეხებოდა. გამოითქვა ეჭვი, რომ საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა შერჩევა გამჭვირვალედ და ობიექტურად არ ხდებოდა, ასევე საუბრობდნენ, რომ კანდიდატები კვალიფიკაციისა და გამოცდილების ნაცვლად პოლიტიკური კუთვნილების ნიშნით ირჩეოდნენ. ეს არ იყო პირველი შემთხვევა, როდესაც საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა შერჩევის მიუყვებლობასა და გამჭვირვალობასთან დაკავშირებით შეშფოთება გამოითქვა. სამოქალაქო საზოგადოება და ზოგიერთი პოლიტიკური პარტია მსგავს ეჭვებს წინა არჩევნების დროსაც გამოხატავდა.

საარჩევნო ადმინისტრაციისადმი მაღალი ნდობა მნიშვნელოვანი ფაქტორია მთლიანად არჩევნების პროცესისადმი საზოგადოებისა და ყველა შესაბამისი დაინტერესებული მხარის ნდობის უზრუნველსაყოფად. საარჩევნო ადმინისტრაციის პოლიტიკური მიკერძოების შესახებ ეჭვები საზიანოა მისი რეპუტაციისათვის, რამაც შესაძლოა საზოგადოებას ნდობა დააკარგინოს არჩევნებისადმი და ამომრჩევლებს არჩევნებში მონაწილეობა გადააფიქრებინოს. ამას კი უარყოფითი ზეგავლენა ექნება მთლიანად არჩევნებზე, მაშინ როცა არჩევნები დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბების წინაპირობაა.

ამ პოლიტიკის დოკუმენტში განხილულია საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის, კერძოდ კი საუბნო კომისიების შემადგენლობასთან დაკავშირებული პრობლემები და შემოთავაზებულია წევრთა შერჩევის ალტერნატიული მეთოდის გამოყენება, რომელიც მოაგვარებდა აღნიშნულ პრობლემებს. ამჟამად მოქმედი სისტემის ნაცვლად საუბნო საარჩევნო კომისიების წევრობის ყველა კანდიდატს უნდა მოეთხოვებოდეს სერტიფიცირება საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელედ. მიკერძოებულობასა და პოლიტიკურ მიკუთვნებასთან დაკავშირებული პრობლემების მოსაგვარებლად უნდა შეიქმნას სერტიფიცირებული კანდიდატების ელექტრონულ მონაცემთა ბაზა და საუბნო საარჩევნო კომისიათა წევრები ამ მონაცემთა ბაზიდან კონკურსის ნაცვლად შემთხვევითი შერჩევის პრინციპით უნდა შეირჩნენ. წინამდებარე დოკუმენტის ავტორები გთავაზობენ რეკომენდაციებს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა განხორციელდეს აღნიშნული ცვლილებები.

შესავალი

ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2016 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის მიხედვით საქართველოს ხელისუფლების ერთ-ერთი ვალდებულებაა დემოკრატიული არჩევნების ჩატარება. სამართლიანი და თავისუფალი არჩევნები ყოველი დემოკრატიული სახელმწიფოს ქვაკუთხედი და საქართველოც არ წარმოადგენს გამონაკლისს. დემოკრატიული არჩევნების უზრუნველყოფისთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი როლი არჩევნების ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელ ორგანოს აკისრია. საქართველოში არჩევნები ტარდება საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ, რომელიც სხვა სახელმწიფო უწყებებისგან დამოუკიდებელი ადმინისტრაციული ორგანოა.¹

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციაში შედიან ცენტრალური საარჩევნო კომისია (ცესკო), საოლქო საარჩევნო კომისიები და საუბნო საარჩევნო კომისიები.² თითოეულ კომისიაში – ცენტრალურ, ოლქის თუ უბნის დონეზე შედის 13 წევრი, მათ შორის კონკურსის წესით არჩეული ექვსი წევრი (პროფესიული ნიშნით შერჩეული წევრები) და შვიდი წევრი, რომლებსაც ნიშნავენ სახელმწიფო ბიუჯეტიდან „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად დაფინანსების მიმღები პოლიტიკური პარტიები (პოლიტიკური დანიშნები).³

იმისათვის, რომ თავისი ფუნქციები ეფექტიანად შეასრულოს, საარჩევნო ადმინისტრაცია დაკომპლექტებული უნდა იყოს კვალიფიციური, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი წევრებით. ეს საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ თავისი უფლებამოსილების პროფესიონალურად და ობიექტურად განხორციელების წინაპირობაა. ვენეციის კომისიის „საარჩევნო საკითხებში კარგი პრაქტიკის კოდექსი“ თანახმად, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნეს არჩევნების სათანადოდ ჩატარება, ყველა დონეზე, დაწყებული ცენტრალური და დამთავრებული საუბნო საარჩევნო კომისიით, უნდა ჩამოყალიბდეს მიუკერძოებელი საარჩევნო კომისიები.⁴ მხოლოდ გამჭვირვალობა, მიუკერძოებლობა და პოლიტიკურად მოტივირებული მანიპულირებისგან დამოუკიდებლობა უზრუნველყოფს საარჩევნო პროცესის

¹ საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, მე-7 მუხლი, 2011.

² უმაღლესი საარჩევნო კომისია აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში.

³ საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლები 10, 12, 13, 20, 24.

⁴ ევროპული კომისია დემოკრატიისათვის კანონის მეშვეობით (ვენეციის კომისია), „საარჩევნო საკითხებში კარგი პრაქტიკის კოდექსი“, 2002 წლის ოქტომბერი, პუნქტი 71.

სათანადო ადმინისტრირებას, დაწყებული წინასაარჩევნო პერიოდიდან და დამთავრებული ხმების შეჯამების დასრულებით.⁵

საუბნო საარჩევნო კომისიები საარჩევნო ადმინისტრაციის მნიშვნელოვანი ნაწილია, ვინაიდან მათი ფუნქციაა არჩევნების დღის პროცედურების ჩატარება და ხმების დათვლა. შესაბამისად, საუბნო კომისიების წევრთა პროფესიონალიზმსა და მიუკერძოებლობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არჩევნების სამართლიანად და დემოკრატიულად ჩასატარებლად. საქართველოში საარჩევნო ადმინისტრაციისთვის საუბნო კომისიების პროფესიონალ წევრთა შერჩევა ობიექტური კონკურსის მეშვეობით გამოწვევას წარმოადგენდა და წარმოადგენს. წინა არჩევნების, მათ შორის 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების, დროს სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ზოგიერთი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ საუბნო საარჩევნო კომისიების პროფესიონალი წევრების შერჩევა უმეტესად ხდებოდა პოლიტიკური პარტიისადმი კუთვნილების და არა რაიმე ობიექტური კრიტერიუმების საფუძველზე. ჩვეულებრივ, ეს მმართველი პარტიისადმი კუთვნილება იყო ხოლმე.

ხმის დათვლისა და შეჯამების პროცესში საუბნო საარჩევნო კომისიების მნიშვნელოვანი როლის გამო ზემოაღნიშნული განცხადებები და შესაბამისი ეჭვები ჩრდილს აყენებს საარჩევნო ადმინისტრაციის დამოუკიდებლობას და მიუკერძოებლობას. ამ საკითხებმა შესაძლოა საზოგადოებას ნდობა დააკარგვინოს საარჩევნო ადმინისტრაციისადმი და მთლიანად არჩევნებისადმი. ამომრჩევლებს შესაძლოა არჩევნებში მონაწილეობის სურვილიც კი დაეკარგოთ, როცა ისინი არ არიან დარწმუნებულები, რომ მათი ხმები ობიექტურად იქნება დათვლილი. ეს უარყოფით ზეგავლენას მოახდენს დემოკრატიული არჩევნების ჩატარებაზე, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ყოველი ქვეყნისათვის, რომელიც ისწრაფის დემოკრატიული ფასეულობების დამკვიდრებისკენ და ევროკავშირში გაწევრიანებისკენ. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ საარჩევნო ადმინისტრაცია არ განიცდიდეს რაიმე პოლიტიკურ ზეგავლენას და რომ არ არსებოდეს არავითარი ეჭვები მის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით.

არასამთავრობო ორგანიზაციები და ზოგიერთი პოლიტიკური პარტია ითხოვდა (ან ლობირებდა) საარჩევნო ადმინისტრაციის შემადგენლობის რეფორმის საკითხს. საარჩევნო კოდექსში რიგი სხვადასხვა კუთხით შესატანი ცვლილებების მომზადებისა და ფართო საარჩევნო რეფორმის განხორციელების მიზნით, 2013 წლის მარტში საქართველოს პარლამენტში შეიქმნა არჩევნების საკითხებზე მომუშავე ინტერფრაქციული სამუშაო ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ პარლამენტის წევრები. მათ გარდა ჯგუფის შეხვედრებში მონაწილეობის მიღება და რეკომენდაციების წარდგენა შესაძლოა სხვა დაინტერესებულ მხარეებს. ერთ-ერთი სფერო, რომელზეც სამუშაო ჯგუფი ამახვილებდა ყურადღებას, იყო საარჩევნო ადმინისტრაციის შემადგენლობა, მაგრამ აღნიშნული ჯგუფი დაიშალა ისე, რომ ეს საკითხი არ განხილულა. არსებობდა მოლოდინი, რომ ამ პრობლემას მოაგვარებდა 2013 წლის 26 დეკემბერს შექმნილი ახალი ინტერფრაქციული ჯგუფი, მაგრამ ეს არ მოხდა. ის, რომ მთავრობამ არ განახორციელა შესაბამისი რეფორმები სხვა დაინტერესებული მხარეების მოთხოვნაზე საპასუხოდ, პოლიტიკური ნების არარსებობით შეიძლება აიხსნას.

⁵ Ibid

საუბნო საარჩევნო ადმინისტრაციის შვებულებათა და დაკავშირებული ნაკლოვანებები

როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია, როგორც ადმინისტრაციული ორგანო, მაღალი ხარისხის დამოუკიდებლობით სარგებლობს. ამ დამოუკიდებლობის მიზეზია ის ფუნქცია, რომლის განხორციელებაც მას აკისრია: თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნების ჩატარება. ამ ფუნქციის შესასრულებლად საარჩევნო ადმინისტრაცია თავისუფალი უნდა იყოს პოლიტიკური თუ ნებისმიერი სხვა სახის ზეგავლენისაგან. ერთ-ერთი ფაქტორი, რომელიც უზრუნველყოფს საარჩევნო ადმინისტრაციის დამოუკიდებლობას, არის ის, თუ რა სახით ხდება მისი შემადგენლობის რეგულირება.

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, საუბნო საარჩევნო ადმინისტრაციის შემადგენლობის შერჩევა ხდება შერეული სისტემის მიხედვით: შვიდ წევრს ნიშნავენ პოლიტიკური პარტიები, ხოლო ექვსი წევრი შერჩევა კონკურსის საფუძველზე. საუბნო კომისიების აღნიშნულ ექვს წევრს ირჩევენ შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიები მათი სრული შემადგენლობის უმრავლესობით.⁶ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრად შეიძლება დაინიშნოს 18 წლის ან უფროსი ასაკის ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელიც აკმაყოფილებს კანონში ჩამოყალიბებულ მოთხოვნებს. კანდიდატებმა შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას უნდა წარუდგინონ განცხადება და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი. საოლქო საარჩევნო კომისია საუბნო საარჩევნო კომისიის ექვს წევრს ირჩევს არჩევნების დღემდე არა უადრეს 50-ე და არა უგვიანეს 46-ე დღისა, სახელობითი კენჭისყრით.⁷

ვინაიდან საუბნო საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში შედიან კონკრეტულ პოლიტიკურ პარტიებთან დაკავშირებული წევრებიც, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება კომისიებში პროფესიონალი წევრების არსებობა და მათი შერჩევა ობიექტურ კრიტერიუმებზე დაყრდნობით, როგორც არის პროფესიონალიზმი და კვალიფიკაცია. ეს აუცილებელია იმისათვის, რომ გაჩნდეს ნდობა საარჩევნო ადმინისტრაციის მიმართ. წინა არჩევნების დროს სწორედ საუბნო კომისიების წევრთა შერჩევის პროცესი იყო დისკუსიებისა და კრიტიკის საგანი. აცხადებდნენ, რომ პროფესიულ წევრებად ინიშნებოდნენ პოლიტიკური პარტიების მხარდამჭერი ან ნდობით აღჭურვილი პირები. ამგვარი ბრალდებები უმეტესად მმართველ პარტიას ეხებოდა. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა ასევე აღმოაჩინეს, რომ ზოგჯერ პარტიები და/ან მათი წარმომადგენლები საარჩევნო კომისიებში ცდილობდნენ, ზემოქმედება მოეხდინათ საოლქო კომისიების სხვა წევრებზე, რათა მათ ხმა მიეცათ პარტიისთვის სასურველი კანდიდატებისთვის.⁸

იგივე პრობლემა წამოიჭრა 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისათვის საუბნო საარჩევნო კომისიების შემადგენლობის შერჩევისას. კერძოდ, ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ საოლქო კომისიები საუბნო კომისიების წევრებს არჩევდნენ წინასწარ შედგენილი სიების და არა განმცხადებელთა კომპეტენციისა და პროფესიონალიზმის მიხედვით. ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები იმასაც აცხადებდნენ, რომ საუბნო საარჩევ-

⁶ საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 24

⁷ საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 25

⁸ 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინასაარჩევნო მონიტორინგის მეხუთე შუალედური ანგარიში, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება, შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: <http://www.isfed.ge/main/472/eng/>

ნო კომისიების წევრობაზე განმცხადებელთა სიები დგებოდა მმართველი პარტიის – „ქართული ოცნების“ – აქტივისტების ოჯახის წევრებისგან და ნათესავებისგან.⁹

გარდა ამისა, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ (ISFED) აღმოაჩინა რიგი შემთხვევებისა, როდესაც საოლქო კომისიების წევრები კენჭს უყრიდნენ სიაში შესულ პირველ ექვს კანდიდატს. ანალოგიური შემთხვევები გამოვლინდა წინა არჩევნების დროსაც, რამაც მიგვიყვანა დასკვნამდე, რომ სასურველ კანდიდატებს კანდიდატთა სიების დასაწყისში სვამდნენ.¹⁰ იყო შემთხვევებიც, როდესაც საოლქო კომისიები არ ატარებდნენ ღია კენჭისყრას ან შეხვედრებს კანდიდატთა განცხადებების განსახილველად.¹¹

გასაგებია, რომ განცხადებების განხილვა შერჩევის პროცედურის დაწყებამდე უნდა მოხდეს, რადგან საოლქო კომისიების წევრებს დრო სჭირდებათ იმისათვის, რომ შეიქმნან წარმოდგენა თითოეული კანდიდატის შესახებ და შემდეგ მიიღონ გადაწყვეტილება. თუმცა როდესაც საოლქო კომისიის წევრები თანხმდებიან და შერჩეულ კანდიდატთა სიას ღია შერჩევის პროცესამდე ადგენენ, კანდიდატებთან დაკავშირებით საოლქო კომისიის წევრთა გადაწყვეტილების საფუძველი გამჭვირვალობის მიზნებისათვის უნდა გასაჯაროვდეს, კერძოდ, უნდა გამოცხადდეს, თუ რა კრიტერიუმების საფუძველზე მოხდა ამა თუ იმ კანდიდატების შერჩევა. გამჭვირვალობის არარსებობა კითხვებს წამოჭრის საოლქო საარჩევნო კომისიების მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით. ეს ასევე წარმოშობს ეჭვს, რომ ადგილი ჰქონდა პოლიტიკურ ან სხვა სახის ზემოქმედებას საოლქო კომისიების მუშაობაზე ან რომ საოლქო კომისიის წევრები კანდიდატების შერჩევის პროცესში მესამე პირებთან გადიოდნენ კონსულტაციებს.¹²

ზოგ შემთხვევაში, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის საუბნო საარჩევნო კომისიის პროფესიულ წევრებად შეირჩნენ 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნების დროს პოლიტიკური პარტიების მიერ საუბნო კომისიებში დანიშნული წევრები. მათი უმრავლესობა დაკავშირებული იყო მმართველ პარტია – „ქართულ ოცნებასთან“. ცესკო-ს მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, საუბნო საარჩევნო კომისიების არჩეული 21 748 პროფესიონალი წევრიდან 3 115 წევრი 2014 წელს საუბნო კომისიებში პოლიტიკური პარტიების მიერ იყო დანიშნული.¹³ მართალია, ეს არ არის კანონის დარღვევა, მაგრამ კითხვები ჩნდება აღნიშნულ წევრთა პოლიტიკური თვალსაზრისით მიკერძოებლობასთან დაკავშირებით, რამაც საზოგადოებას შესაძლოა საარჩევნო ადმინისტრაციის მიმართ ნდობა დააკარგინოს.

გარდა საუბნო საარჩევნო კომისიათა შემადგენლობასთან დაკავშირებული საკითხებისა, პრობლემები იყო საოლქო საარჩევნო კომისიების წევრთა შერჩევის პროცესშიც. მაგალითად, ცესკო-ს მიერ 2016 წლის თებერვალში კონკურსის საფუძველზე პროფესიონალ წევრებად შერჩეული საოლქო კომისიების არაერთ წევრს პარტიული წარსული ჰქონდა – კერძოდ, 182 შერჩეული კანდიდატიდან 67 წარსულში პარტიის საარჩევნო კომისიებში დანიშნული წევრი იყო.¹⁴

⁹ 2016 წლის 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო მონიტორინგი, მესამე შუალედური ანგარიში, 9 აგვისტო-1 სექტემბერი, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება, გვ. 20, 2016 წ. შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: <http://www.isfed.ge/main/1131/eng/>

¹⁰ Ibid.

¹¹ Ibid.

¹² სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების განცხადება საარჩევნო კომისიების წევრთა შესარჩევად მიმდინარე კონკურსის შესახებ, შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: <http://www.isfed.ge/main/1116/eng/>

¹³ ინფორმაცია და სტატისტიკური მონაცემები 2016 წლის 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებისათვის საუბნო საარჩევნო კომისიათა შემადგენლობის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე მხოლოდ ქართულ ენაზე: <http://cesko.ge/res/docs/20160904184726.pdf>

¹⁴ დეტალური ინფორმაცია კონკურსის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ „საოლქო საარჩევნო კომისიების წევრთა შესარჩევი კონკურსის მონიტორინგის შესახებ ანგარიში“: <http://www.isfed.ge/main/1034/eng/>. ეს ასევე მოხსენიებულია საია-ს „საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა შერჩევის შეფასებაში“, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, <https://gyla.ge/en/post/saia-saolqo-saarchevno-komisiebis-she-sarchev-konkurss-afasebs>

ამ ტიპის პრაქტიკა ეჭვს აღძრავს საუბნო საარჩევნო კომისიების პროფესიონალ ნევრებად დანიშნული კანდიდატების პოლიტიკურ ნეიტრალურობასა და მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით. ძირითადად დაინტერესებულმა მხარეებმა და ამომრჩევლებმა საარჩევნო ადმინისტრაცია შესაძლოა აღიქვან პოლიტიკურ პარტიებთან, განსაკუთრებით კი მმართველ პოლიტიკურ პარტიასთან დაკავშირებულად და მის მიერ მართულად. სწორედ მმართველ პარტიას ადანაშაულებენ ხოლმე, ჩვეულებრივ, საარჩევნო კომისიების პროფესიონალ ნევრთა შერჩევაზე მანიპულირებასა და ზემოქმედებაში. ეს კი ზიანს აყენებს საარჩევნო ადმინისტრაციის, როგორც დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ადმინისტრაციული ორგანოს, რეპუტაციას.

პრობლემის მოგვარების საშუალება: საუბნო საარჩევნო კომისიების ნევრთა შერჩევის ალტერნატიული გზა

საარჩევნო ადმინისტრაციის წინაშე მდგომი მთავარი გამოწვევაა საუბნო საარჩევნო კომისიების პროფესიონალ ნევრთა შერჩევაში პოლიტიკური პარტიების ჩარევისა და მათი მხრიდან ზემოქმედების შესახებ ეჭვების გაფანტვა. ეს მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ საზოგადოება ენდობოდეს საარჩევნო ადმინისტრაციას, რაც, თავის მხრივ, უშუალოდ არის დაკავშირებული არჩევნებისადმი საზოგადოების ნდობასთან.

აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად და შერჩევის პროცესის გასამარტივებლად საუბნო საარჩევნო კომისიების ნევრებს უნდა მოეთხოვებოდეთ სერტიფიცირება საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეების სახით. საუბნო კომისიების ნევრობაზე განცხადების შემომტანთა სერტიფიცირებისთვის აუცილებელი ტესტები ფოკუსირებული უნდა იყოს ძირითადად არჩევნების დღის პროცედურებზე. ცესკო-ში უნდა შეიქმნას და წარმოებდეს წარმატებული სერტიფიცირებული კანდიდატების ელექტრონულ მონაცემთა ბაზა. თითოეული არჩევნებისათვის, საუბნო საარჩევნო კომისიათა პროფესიონალი ნევრები ამ მონაცემთა ბაზიდან შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე უნდა იქნენ შერჩეულები. მონაცემთა ბაზა უნდა იძლეოდეს შესაძლებლობას, რომ კანდიდატები მათი რეგიონების მიხედვით განაწილდნენ და კანდიდატი ერთი რეგიონიდან არ შეირჩეს სხვა რეგიონში, მოშორებით მოქმედ საუბნო საარჩევნო კომისიაში სამუშაოდ.

ამ რეფორმის პროცესს შესაძლოა ახლდეს გარკვეული დაბრკოლებები. პირველ რიგში საუბნო საარჩევნო კომისიების პოტენციურ ნევრთა ელექტრონული მონაცემების ბაზის შექმნას და წარმოებას ფინანსური სახსრები დასჭირდება. შესაძლებელია, რომ ეს სახსრები დონორმა ორგანიზაციებმა გამოყონ. რეფორმის წარმატებისთვის კიდევ ერთი რისკია, რომ პოტენციური კანდიდატები შეიძლება არ იყვნენ დაინტერესებულები, გაიარონ სერტიფიცირებისთვის აუცილებელი ტესტები. ეს პრობლემა შესაძლოა უფრო დასაწყისში წარმოიქმნას; აქტიური საინფორმაციო კამპანია ხელს შეუწყობს ამ პრობლემის გრძელვადიან პერსპექტივაში მოგვარებას. თუ გავითვალისწინებთ, რომ საუბნო საარჩევნო კომისიების ნევრობაზე ყოველთვის დიდი

რაოდენობით განცხადება შემოდის, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ამ პრობლემამ ბევრ პოტენციურ კანდიდატს გადააფიქრებინოს განცხადების შემოტანა. გარდა ამისა, მთელი ქვეყნის მასშტაბით დანერგვამდე, ელექტრონული მონაცემთა ბაზის გამოყენება შესაძლოა საპილოტედ გამოიცადოს გარკვეულ რეგიონებში.

დასკვნა

საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების წესს არსებითი მნიშვნელობა აქვს საარჩევნო ადმინისტრაციის დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად. საუბნო საარჩევნო კომისიების პროფესიონალ წევრთა ელექტრონული მონაცემების ბაზის საფუძველზე შერჩევის ალტერნატიულ მეთოდს შესწევს უნარი, მოაგვაროს საუბნო კომისიების წევრთა კონკურსის საფუძველზე შერჩევასთან დაკავშირებული პრობლემა. აღარ იქნება საჭირო კონკურსში საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა ჩართვა და მათ მიერ კანდიდატების შერჩევა. ეს შეამცირებს ეჭვებსა და სპეკულაციებს შერჩევის პროცესში პოლიტიკური ინტერესების შესახებ. შერჩევის პროცესი უფრო ობიექტური და მიუკერძოებელი გახდება, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს უფრო კვალიფიციური და პროფესიონალი წევრების შერჩევას. ეს გაზრდის საარჩევნო ადმინისტრაციის მიმართ ნდობას, რაც მნიშვნელოვანი წინაპირობაა ამომრჩეველთა მოტივირებისათვის არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად და განავითარებს თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარების კულტურას. მთლიანობაში ეს ხელს შეუწყობს არჩევნების დემოკრატიულად ჩატარებას, რაც საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ვალდებულებაა ასოცირების დღის წესრიგის საფუძველზე.

ამ მეთოდის დამატებითი უპირატესობა ის არის, რომ ელექტრონული მონაცემთა ბაზის გამოყენება დაზოგავს დროს. დღეს მოქმედი, კონკურსის ჩატარების პროცესი მეტ დროსა და ძალისხმევას საჭიროებს, ვინაიდან საარჩევნო პერიოდების განმავლობაში მოკლე ვადებში ბევრი განცხადება ხოლმე განსახილველი. კანდიდატების ელექტრონული მონაცემთა ბაზის საფუძველზე შერჩევა შეამცირებს საოლქო საარჩევნო კომისიების სამუშაო დატვირთვასაც და საოლქო კომისიების წევრებს მისცემს საშუალებას, კონცენტრირება მოახდინონ სხვა რელევანტურ საკითხებზე.

რეკომენდაციები

შემოთავაზებული რეფორმის წარმატებით განხორციელებისათვის უნდა გაკეთდეს შემდეგი:

- უნდა შეიქმნას სპეციალური სამუშაო ჯგუფი ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით, რათა განხილული იქნეს რეფორმის განხორციელების საკითხი და მომზადდეს კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებები. ასეთი სამუშაო ჯგუფი არჩევნების შემდეგ მოკლე დროში უნდა შეიქმნას;
- შემოღებული უნდა იქნეს საუბნო საარჩევნო კომისიათა წევრობის სერტიფიცირებული კანდიდატების ელექტრონულ მონაცემთა ბაზა მომავალი არჩევნებისათვის, მათ შორის უნდა შეფასდეს მოთხოვნები ამგვარი კომპიუტერული პროგრამისადმი და შეიქმნას მოდელი. სისტემის ტესტირებისა და შემოღებისათვის მომზადების პროცესში უნდა ჩაერთონ საინფორმაციო ტექნოლოგიათა სპეციალისტები და პროგრამისტები;
- საუბნო საარჩევნო კომისიათა წევრების მიმართ სავალდებულო მოთხოვნა უნდა გახდეს საარჩევნო ადმინისტრაციის სერტიფიკატი;
- რეფორმის ხელშეწყობის, საარჩევნო ადმინისტრაციის მიმართ ნდობის დამყარებისა და უფრო მეტი კვალიფიციური და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრად სერტიფიცირებით დაინტერესებული კანდიდატის მოზიდვის მიზნით უნდა შემუშავდეს საზოგადოების ინფორმირების კამპანია;
- უნდა ჩამოყალიბდეს შესაბამისი გეგმა ახალი სისტემის დასანერგად, დაწყებული სისტემის პილოტური გამოცდით წინასწარ შერჩეულ რამდენიმე ოლქში;
- უნდა დამყარდეს კომუნიკაცია დონორ ორგანიზაციებთან რეფორმის განხორციელებისთვის აუცილებელი ფინანსური დახმარების მოპოვების მიზნით.